საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№178/15 „18“დეკემბერი 2015 წ.

შ.პ.ს. „თბილისი ჰაუსი“-ს

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ცინცაძის ქუჩა №63-ის მიმდებარედ შ.პ.ს. „თბილი ჰაუსი“-ს მიერ დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. საპროექტო კორპუსს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება რვა სართულიანი საცხოვრებელი შენობა, რომელიც სავარაუდოდ აგებულია გასული საუკუნის 60-70-ან წლებში. საპროექტო შენობის მზიდი კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილი იქნება მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვანი სივრცული სისტემის სახით. ტერიტორია წარმოდგენილია მაღალი მზიდუნარიანობის ძირითადი ქანებით, ქვიშაქვებით.
გარდა მრავალსართულიანი კორპუსისა, საპროექტო შენობის დასავლეთით 5-8მ. მანძილზე არსებობს საინჟინრო ნაგებობები საყრდენი კედლების სახით. ჩრდილოეთიდან 32მ. მანძილზე მდებარეობს მუსიკალური სკოლა. აღნიშნული შენობა-ნაგებობები განთავსებულია ძირითად ქანებზე. მანძილებისა და გრუნტული პირობების გათვალისწინებით საპროექტო შენობა არ მოახდენს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას ზემოჩამოთვლილ არსებულ შენობა-ნაგებობებზე.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№178/15 „18“დეკემბერი 2015 წ.

შ.პ.ს. „თბილისი ჰაუსი“-ს

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ცინცაძის ქუჩა №63-ის მიმდებარედ შ.პ.ს. „თბილი ჰაუსი“-ს მიერ დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. საპროექტო კორპუსს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება რვა სართულიანი საცხოვრებელი შენობა (ს/კ№01.10.15.026.023), რომელიც სავარაუდოდ აგებულია გასული საუკუნის 60-70-ან წლებში. შენობა კონსტრუქციულად მსხვილბლოკურია. სართულშუა გადახურვის ყველა დონეზე გააჩნია რკინაბეტონის სარტყელები, რომლებზედაც დამონტაჟებულია ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები. სახურავის ტიპი ბრტყელი, რბილი. ადგილზე დათვალიერებით შენობას საძირკვლების არათანაბარი ჯდენებით გამოწვეული დეფორმაციები არ აღენიშნება და იმყოფება დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში. საპროექტო შენობის მზიდი კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილი იქნება მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვანი სივრცული სისტემის სახით. ტერიტორია წარმოდგენილია მაღალი მზიდუნარიანობის ძირითადი ქანებით, ქვიშაქვებით. გარდა რვა სათულიანი კორპუსისა, საპროექტო შენობის დასავლეთით 5-8მ. მანძილზე არსებობს საინჟინრო ნაგებობები საყრდენი კედლების სახით (ს/კ №01.10.15.025.064), რომლებიც აგებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან. ჩრდილოეთიდან 32მ. მანძილზე მდებარეობს მუსიკალური სკოლა (ს/კ №01.10.15.026.019). აღნიშნული შენობა-ნაგებობები განთავსებულია ძირითად ქანებზე, კლდოვან გრუნტზე. მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

შ.პ.ს. „მონოლითი“ საკითხის შესახებ გაცნობებთ, რომ საპროექტო შენობა მშენებლობის პერიოდში (ასევე შემდგომში, მისი ექსპლოატაციისას), მანძილებისა და გრუნტული პირობების გათვალისწინებით, არ მოახდენს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას ზემოჩამოთვლილ არსებულ შენობა-ნაგებობებზე. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ არანაირ გამაგრებით სამუშაოებს ზემოაღნიშნული არსებული შენობა-ნაგებობები, საპროექტო შენობასთან მიმართებაში არ საჭიროებს.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/